პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 293 (11297)

შაბათი, 20 დეკემბერი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

კომუნისტური მშენებლობის მომავალი შვიდწლედისათვის დიდებულმა პროგრამამ გამოიწვია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მხურვალედ იწონებენ რა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების პროგრამას, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ ეს პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სათავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ აქტივობას, ბოლოამდე ჩაუნერგონ სოფლის მეურნეობის მშრომელებს [illegible] წინსვლისადმი, შრომაში ახალ მაღალ [illegible] წევისადმი, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი [illegible] მოქმედებით ინიციატივას, ნოვატორობას, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოціალისტური შეჯიბრება კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1958 წლის 19 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 15 დეკემბერს გაიხსნა.

19 დეკემბერს გამართულ პლენუმის სხდომაზე კამათში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები“ გამოვიდნენ ამხანაგები: **ტ. ა. იურკინი** (რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე), **ზ. ნ. ნურიევი** (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), **ვ. ვ. მაცკევიჩი** (სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი), **ა. დ. დანიალოვი** (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაღისტნის საოლქო კომიტეტის მდივანი), **დ. მ. მატიუშკინი** (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივანი), **ს. ა. სტროკოვი** (როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათაშენებელი ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი).

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები“, რომელიც ქვეყნდება.

სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, მიღებული 1958 წლის 19 დეკემბერს

მოისმინა და განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება — სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მთლიანად და სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას სოფლის მეურნეობის საკითხებზე ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი), აგრეთვე შემდეგი პლენუმების გადაწყვეტილებათა და პარტიის XX ყრილობის დადგენილების განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდს პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამ პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა და განახორციელა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომლებიც მოასწავებენ ახალ ეტაპს საკოლმეურნეო წყობილებისა და მთელი ჩვენი სოціალისტური სისტემის განვითარებასა და განმტკიცებაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოціალისტური მეურნეობის ფორმას, არის რა ყველაზე პროგრესული, შეუძლია გვიჩვენოს საზოგადოებრივი წარმოების ზრდის არნახული ტემპი, სოціალისტური ორგანიზაციის ფორმას შეუძლია მოგვცეს საუკეთესო შედეგები იმ პირობით, თუ ამოქმედდებიან მასების რევოლუციური ენთუზიაზმის დიადი ძალები, თუ თანმიმდევრულად იქნება დაცული ის პრინციპი, რომ ყველა მშრომელი იყოს მატერიალურად დაინტერესებული საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით. ეს უმნიშვნელოვანესი დებულებანი ახლო წარსულში. განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის წინა პერიოდში სერიოზულად ირღვეოდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რამაც გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი დარგის ჩამორჩენა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, თუმცა მოიშუშეს ომით მიყენებული ჭრილობები, მაგრამ მათ მიერ მიღწეული წარმოების დონე ვერ აკმაყოფილებდა ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებებს სურსათსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. ეს შეიცავდა საშიშ შედეგებს, რადგან შეეძლო შეეფერხებინა სოціალისტური ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობა, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ჩვენი ქვეყნის წინსვლა კომუნიზმისაკენ.

ჩვენმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი), თებერვალ-მარტის (1954 წელი), იანვრის (1955 წელი) და შემდგომ პლენუმებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე შეიმუშავა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა მეურნეობების განვითარებისა და მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის დიდი, ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიებანი.

სოціალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის შემუშავებისას კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა ლენინის მოძღვრებით იმის შესახებ, რომ გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მრეწველობას და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიას, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველს. ამასთან პარტია ითვალისწინებდა, რომ სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის. სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა გამოცხადდა მთელი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის უმნიშვნელოვანეს ამოცანად. კომუნისტურმა პარტიამ გაშალა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, სათავეში ჩაუდგა საყოველთაოსახალხო ბრძოლას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის. პარტიამ გადაჭრა სოціალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეკონომიური საკითხები, აღადგინა ის პრინციპი, რომ კოლმეურნეები, სოფლის ყველა მშრომელი იყოს მატერიალურად დაინტერესებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით, განამტკიცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სპეციალისტთა, მექანიზატორთა და ხელმძღვანელ მუშაკთა კადრებით. შემოღებულ იქნა დაგეგმვის ახალი წესი, რომელმაც განავითარა კოლმეურნეთა ინიციატივა.

მუშათა კლასის გმირული ღონისძიებების მეოხებით სოფლის მეურნეობამ მოკლე ვადაში მიიღო ასეულ ათასობით ტრაქტორი, კომბაინი, ავტომობილი, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი. სახელმწიფოს კაპიტალდაბანდებამ სოფლის მეურნეობაში განვლილი ხუთი წლის მანძილზე შეადგინა 97 მილიარდ მანეთზე მეტი 40 მილიარდი მანეთის ნაცვლად წინა ხუთწლედის შესადარ ფასებში.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა განხორციელდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მთელი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის.

ამ ღონისძიებათა განხორციელებამ შესაძლებლობა მოგვცა მოკლე ვადაში აღმოგვეფხვრა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა და განგვემტკიცებინა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. ამ საფუძველზე განხორციელდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, შემოღებულ იქნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესი და პირობები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების გადიდებისათვის. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის, შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც მოსწყდა ხალხს, გამოდიოდა მისი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, ცდილობდა ჩაეშალა იმ კურსის განხორციელება, რომელიც შეიმუშავა პარტიის XX ყრილობამ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში. გამთიშველთა ეს ჯგუფი გამოდიოდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის წინააღმდეგ, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უფლებათა გაფართოების წინააღმდეგ, ჯიუტად უწევდა წინააღმდეგობას პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებას სოფლის მეურნეობის დარგში და ამით აფერხებდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ანტიპარტიული ჯგუფი იბრძოდა ყამირი მიწების ათვისების საკითხში პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესის წინააღმდეგ, ცდილობდა ჩაეხშო პატრიოტული მოძრაობა, რომელიც დაიწყეს მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობისა და იმ ამოცანის გადაჭრისათვის, რომ უახლოეს ვადაში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ, გამოდიოდა იმის წინააღმდეგ, რომ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი განგვეთავისუფლებინა ხორცის, რძის, კარტოფილის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების საგალდებულო ჩაბარებისაგან.

ახლა ყველასათვის ცხადია, თუ რა სამარცხვინოდ დამარცხდა ფრაქციონერთა ეს საზიზღარი ჯგუფი, რომელიც ამხილა და გაანადგურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უკუაგდეს პარტიამ და ხალხმა.

ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის შესანიშნავი გამარჯვებით დაგვირგვინდა. უკანასკნელ ხუთ წელიწადში მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება, რამაც კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებაზე. 1958 წლის 10 დეკემბრისათვის 1953 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა მარცვლეულის დამზადება 91 პროცენტით, აქედან ხორბლისა — 2,3-ჯერ, შაქრის ჭარხლისა — 2,2-ჯერ, შაქრის გამომუშავება — 54 პროცენტით, კარტოფილის დამზადება — 30 პროცენტით, ბოსტნეულისა —80 პროცენტით, მზესუმზირისა — 65 პროცენტით, საბოჭკოე სელისა — 2,1-ჯერ, ნედლი ბამბისა — 16 პროცენტით. პირუტყვისა — 62 პროცენტით, რძისა — ერთიორად და უფრო მეტად, მატყლისა — 60 პროცენტით, კვერცხისა — 76 პროცენტით, კარაქის გამომუშავება ქარხნებში გადიდდა 78 პროცენტით. ბევრად გადიდდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია. თუ 1949-1953 წლებში საშუალოდ წელიწადში ეს პროდუქცია შეადგენდა 300 მილიარდ მანეთზე ნაკლებს, 1954-1958 წლებში აღემატება 400 მილიარდ მანეთს შესადარ ფასებში.

ჩვენს სოціალისტურ სოფლის მეურნეობას ახლა აქვს მტკიცე მყარი ბაზა შემდგომი უფრო სწრაფი ყოველმხრივი განვითარებისათვის, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ისეთი რაოდენობის წარმოებისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეულ თვალსაჩინო წარმატებებს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ისინი წარმოადგენენ ლენინური კოოპერაციული გეგმის ცოცხალ განსახიერებას, სოціალისტური სოფლის მეურნეობის დიდ უპირატესობათა მკაფიო დემონსტრაციას კაპიტალისტურის წინაშე. ეს შესანიშნავი წარმატებანი განამტკიცებენ სოціალიზმის მსოფლიო სისტემას და ძვირფას მაგალითს წარმოადგენენ სხვა სოціალისტური ქვეყნებისათვის კომუნიზმის გზით სოფლის მეურნეობის წარმატებითი განვითარების საქმეში.

მარცვლეულის წარმოების გადიდების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ განვლილ ხუთ წელიწადში დიდი მუშაობა შესრულდა მარცვლეულის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, წარმოების გასადიდებლად. ცნობილია, რომ სწორედ მარცვლეულის წარმოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმამდელ პერიოდში იყო დაშვებული სერიოზული ჩამორჩენა, რასაც მოჰყვა სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სხვა დიდმნიშვნელოვანი დარგის, განსაკუთრებით მეცხოველეობის მოდუნება.

მარცვლეულის წარმოების მიხედვით ჩვენი ქვეყანა ხანგრძლივ პერიოდში თითქმის იმ დონეზე იყო, რომელიც მიღწეულ იქნა რევოლუციამდელი რუსეთის მიერ. ჩვენს ქვეყანაში სასაქონლო მარცვლეულის რაოდენობა, რომელიც სახელმწიფოს რესურსებში შედიოდა, მეტად არასაკმარისი იყო, სიძნელეები იქმნებოდა მოსახლეობის პურით მომარაგებაში.

ასეთი მდგომარეობა, უეჭველია, ცნობილი იყო მალენკოვისათვის, მაგრამ მან ფაქტების საწინააღმდეგოდ განაცხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე, რომ მარცვლეულის მთლიანმა მოსავალმა ჩვენს ქვეყანაში 1952 წელს შეადგინა 8 მილიარდი ფუთი და რომ მარცვლეულის პრობლემა, რომელიც წინათ ყველაზე მწვავე და სერიოზულ პრობლემად ითვლებოდა, გადაჭრილია საბოლოოდ და სამუდამოდ. ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და მისი მხრივ პარტიისა და ხალხის მოტყუება იყო. ფაქტიურად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იმ პერიოდისათვის მოსავლიანობის მიხედვით საუკეთესო 1952 წელსაც კი აიღეს არა 8 მილიარდი ფუთი მარცვლეული, არამედ მხოლოდ 5.6 მილიარდი ფუთი.

გაითვალისწინა რა მძიმე მდგომარეობა მარცვლეულის წარმოებაში, პარტიამ შეიმუშავა და წარმატებით განახორციელა ციმბირში, ყაზახეთში, ვოლგისპირეთში, ურალში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების პროგრამა. განხორციელდა ღონისძიებანი სიმინდის ნათესთა გაფართოებლად და მისი მოსავლიანობის გასადიდებლად, ამ კულტურის გასავრცელებლად ახალ რაიონებში, გადასინჯულია სათეს ფართობთა სტრუქტურა იმ მიზნით, რომ მცირემოსავლიანი კულტურები შეგვეცვალა უფრო მოსავლიანით და გაგვედიდებინა მარცვლეულის მთლიანი მოსავალი ძველახანავ მიწებზე ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა 1958 წელს მნიშვნელოვნად გაგვედიდებინა მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი და გაგვეზარდა მარცვლეულის წარმოება. 1958 წელს მარცვლეულის მთლიანი მოსავალი შეადგენს 8,5 მილიარდ 50 მილიონ ფუთს, ანუ 69 პროცენტით მეტს 1953 წელთან შედარებით. გადაჭარბებით შესრულებულია პურის დამზადების გეგმა — სახელმწიფო რესურსებს 1958 წელს შეემატა 3,5 მილიარდი ფუთი მარცვლეული. ასეთი რაოდენობის პური ჩვენს ქვეყანას არ ჰქონია მთელი ისტორიის მანძილზე.

ყამირი მიწების ათვისებისა და მარცვლეულის წარმოების და დამზადების გადიდების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის სსრ რესპუბლიკის მშრომელებმა, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებმა, რომლებმაც ყოველნაირად დაუჭირეს მხარი და გაუწიეს კადრებითა და ტექნიკით დახმარება ყამირის ამთვისებელ რაიონებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ როცა წარმოიშვა ყამირი მიწების ათვისების იდეა, მოლოტოვი და ანტიპარტიული ჯგუფის სხვა მონაწილენი, გამოდიოდნენ რა პარტიისა და სახელმწიფოს ამ ღონისძიების წინააღმდეგ, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს ყამირის ათვისებისათვის გაწეული ხარჯები ვერ ანაზღაურდებოდა და ეს საქმე ეკონომიურად თითქოს არახელსაყრელი იყო. სინამდვილეში ცხოვრებამ გააბათილა ეს მოჩმახული მტკიცებანი. სახელმწიფომ არა მარტო დაფარა ყამირის ათვისებასთან დაკავშირებული დანახარჯი, არამედ მის გადამეტებით უკვე მიიღო 18 მილიარდ მანეთზე მეტი წმინდა შემოსავალი. ამასთანავე, ყამირ მიწებზე კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე გადიდდა საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების საწარმოო ფონდი დაახლოებით 24 მილიარდი მანეთით. ყამირი მიწების ათვისება არა მარტო მარცვლეულის წარმოების გადიდების გადამწყვეტი საშუალება, არამედ ამასთანავე სახელმწიფოს დაგროვების დიდმნიშვნელოვანი წყარო იყო კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განსახორციელებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს**:

სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანად კვლავაც ჩაითვალოს მარცვლეულის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება, რათა მომავალი შვიდწლედის საკონტროლო ციფრების შესაბამისად მარცვლეულის მთლიანი მოსავალი ჩვენს ქვეყანაში 1965 წელს აყვანილ იქნას 10-11 მილიარდ ფუთამდე.

მარცვლეულის მოსავლის გადიდების მთავარი და გადამწყვეტი წყაროა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლება. მომავალ შვიდწლედში არის ყველა პირობა, რომ გადიდდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა საშუალოდ 3-4 ცენტნერით ჰექტარზე.

უხვი და მყარი მოსავლის მიღებას კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მიაღწიონ მიწათმოქმედების სწორი სისტემის შემოღების საფუძველზე ბუნებრივ ეკონომიური ზონებისა და თვითეული მეურნეობის თავისებურებებთან შეფარდებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და უკეთ განაწილების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარეველებთან, მავნებლებთან და დაავადებებთან გადამწყვეტი ბრძოლის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე. იმ რაიონებში, სადაც შესაძლებლობა არის ათვისებულ იქნას ახალი მიწები დიდი დანახარჯის გაუწევლად, საჭიროა კვლავაც გადიდდეს მარცვლეულისა და სხვა კულტურების ნათესი ფართობები.

მარცვლეულის ძირითადი რაიონების — ციმბირის, ყაზახეთის, უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის, ცენტრალურ შავნიადაგიანი ოლქებისა და ურალის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც ნოყიერი ვაკე მიწების დიდი მასივები აქვთ, მარცვლეულის მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის გადიდების გადამწყვეტი პირობაა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ვადების ზუსტად დაცვა და ამ სამუშაოთა მაღალი ხარისხი. ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, რადგან მარცვლეულის რაიონების საგრძნობი ნაწილი არასაკმაო დატენიანების ზონაშია.

ამ მიზნით საჭიროა უზრუნველყოთ შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

— მარცვლეული კულტურების საგაზაფხულო თესვა დავამთავროთ ოპტიმალურ შემჭიდროებულ ვადებში, მოსავლის აღება — 10-12 დღეში. მუშაობის ორგანიზაციის, ძალთა განაწილების, ტექნიკით უზრუნველყოფის დროს თვითეულმა მეურნეობამ უნდა გაითვალისწინოს სწორედ ეს ვადები;

— უახლოესი 2-3 წლების განმავლობაში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შემოიღონ სწორი თესლბრუნვა საჭირო რაოდენობის შემოდგომის ანეულით გვალვიან ზონაში. ამასთანავე საჭიროა ბრძოლა ამისათვის, რომ მთელი ფართობი მოსავლის აღების შემდეგ დროზე მოიხნას საანეულოდ და მზრალად.

— გაუმჯობესონ მარცვლეული კულტურების მეთესლეობის საქმე და უზრუნველყონ, რომ უახლოეს წლებში ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ თესოს დარაიონებული უხვმოსავლიანი ჯიშის კარგი თესლი;

— მნიშვნელოვნად გაადიდონ ორგანული სასუქის დაგროვება, აგრეთვე მოაწყონ მათი სწორი გამოყენება.

მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდი რეზერვებია აგრეთვე არაშავნიადაგიანი ზონის რაიონებში. მაგრამ მიწათმოქმედების კულტურის დაბალი დონისა და განსაკუთრებით სასუქის არასაკმაო შეტანის გამო ამ ზონის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავალი კვლავ მეტად მცირეა. ამიტომ ორგანული და მინერალური სასუქების ყოველი ღონისძიებით დაგროვება და სწორი გამოყენება, მიწათმოქმედების საერთო დონის ამაღლება ჩვენი ქვეყნის ამ რაიონებში მოსავლიანობის გადიდების გადამწყვეტი პირობები უნდა იყოს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების და განსაკუთრებით საკვები კულტურების მთლიანი მოსავლის გასადიდებლად საჭიროა დატენიანებული ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლბრუნვაში გვქონდეს სუფთა ანეულის ნაცვლად კარგად დამუშავებული მოთესილი ანეული.

ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება შეიძლება მიღწეულ იქნას აგრეთვე სიმინდის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების გზით. პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ მთელ ჩვენს ქვეყანაში სიმინდის მარცვლის მოსავლიანობა არანაკლებ 30 ცენტნერისა ჰექტარზე.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გაზრდის ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, მიღებული 1958 წლის 19 დეკემბერს

(გაგრძელება)

საჭიროა მეტი ვაწარმოოთ მარცვლეული, პარკოსანი და საბურღულე კულტურები.

თანამედროვე პირობებში, როცა თვითეულ მეურნეობაში არის სპეციალისტების კვალიფიციური კადრები, გაძლიერდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვა, იზრდება ორგანული და მინერალური სასუქების წარმოება, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისა და მარცვლეულის მთლიანი მოსავლის იმ ოდენობამდე გადიდების ამოცანა, რომელსაც შვიდწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს, საკმაოდ რეალურია და შეიძლება წარმატებით შესრულდეს.

ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების გადიდების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით კვების პროდუქტებზე მოსახლეობის და ნედლეულზე მრეწველობის მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის გათვალისწინებულია ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების შემდგომი გადიდება ასეთი ოდენობით: შაქრის ჭარხლისა — 70-78 მილიონ ტონამდე წელიწადში; ნედლი ბამბისა — 5,7-6,1 მილიონ ტონამდე; ზეთოვანი კულტურების თესლისა — 5,5 მილიონ ტონამდე, სელის ბოჭკისი — 580 ათას ტონამდე, კარტოფილისა — 147 მილიონ ტონამდე. გადიდდეს ბოსტნეულის წარმოება ისეთ ოდენობამდე, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, ხილისა და კენკრის წარმოება სულ ცოტა 2-ჯერ და ყურძნისა — სულ ცოტა 4-ჯერ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ შაქრის ჭარხლის წარმოების შემდგომი გადიდება უმთავრესად უნდა ხდებოდეს ამ კულტურის მოსავლიანობისა და ნათესი ფართობების გადიდების გზით მეჭარხლეობის ძველ რაიონებში, ისეთ რაიონებში, როგორიც არის უკრაინა, ჩრდილოეთი კავკასია, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქები, ყაზახეთი და მოლდავეთი, სადაც არის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ამ კულტურის მოყვანის კარგი გამოცდილება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტებმა და რაიკომებმა, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, რაიონულმა საბჭოებმა მეჭარხლეობის რაიონებში უნდა უზრუნველყონ შაქრის ჭარხლის მოყვანის აგროტექნიკის შემდგომი გაუმჯობესება და ნათესი ფართობების გადიდება, შაქრის ჭარხლის კვადრატული და კვადრატულ-ბუდობრივი წესით მოყვანა, იმ წესით, რომელიც საშუალებას იძლევა მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად მკვეთრად შემცირდეს შრომის დანახარჯი მის საწარმოებლად და პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება. ახალი შაქრის ქარხნების მშენებლობასთან ერთად უახლოეს 1-2 წელიწადში განახორციელონ ღონისძიებანი არსებული შაქრის ქარხნების სიმძლავრეთა გასაადიდებლად. აგრეთვე უზრუნველყონ არსებულ სიმძლავრეთა უფრო ეფექტიანი გამოყენება, რისთვისაც ფართოდ დანერგონ ქარხნების მუშაობის ფორსირებული რეჟიმი.

ნედლი ბამბის წარმოების გადიდების მიზნით დაავალოთ უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ 1959-1965 წლებში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბამბის მოსავლიანობის შემდგომ გადიდებასა და არსებული სარწყავი მიწების უფრო სწორად გამოყენებას, აგრეთვე ნათესი ფართობების გადიდებას ახალი მიწებისათვისების გზით, რომლებიც არ მოითხოვენ ამისათვის დიდ კაპიტალდაბანდებას.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და დანახარჯების შემცირებას ბამბის წარმოებაზე, სრულად გამოიყენონ ბამბის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის უპირატესობანი, გადაჭრით დანერგონ ბამბის ხელით კრეფის ნაცვლად მანქანით კრეფა, აღმოფხვრან უძრაობა ბამბის საკრეფი ტექნიკის გამოყენებაში.

დაავალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს, ჩვენი ქვეყნის სელისა და კანაფის მთესველი რაიონების სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ სელის, კანაფისა და სხვა ლაფნეული კულტურების პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდება მოსავლიანობის ამაღლებისა და ნათესი ფართობების გადიდების გზით. ამასთან საჭიროა ყურადღება მიაქციონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი თვითღირებულების შემცირებას.

საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მზესუმზირას, სოიასა და სხვა ზეთოვანი კულტურების ნათესი ფართობების გადიდება და მოსავლიანობის ამაღლება უკრაინის სს, მოლდავეთის სს რესპუბლიკებში, ჩრდილოეთ კავკასიის, შორეული აღმოსავლეთის ოლქებში და რუსეთის სფსრ და ვოლგისპირეთის ცენტრალურ შავნიადაგიან ზონებში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში — ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, ციმბირისა და ურალის ოლქებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნის. ციტრუსების წარმოების გადიდებას, რაც გათვალისწინებულია შვიდწლედისათვის, დიდი მნიშვნელობა ექნება იმისათვის, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ჩვენი ხალხის მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე. საქართველოს, აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩაის წარმოების გადიდებას. დასახულ დავალებათა წარმატებით განხორციელების მიზნით საჭიროა ბოსტნეულის, კარტოფილის წარმოება, აგრეთვე ხეხილის გაშენება უზრუნველყონ უმთავრესად სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო. სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ბოსტნეულისა და კარტოფილისათვის უნდა გამოყონ საუკეთესო. უპირატესად ნარწყული მიწები, გამოუყონ მათ საჭირო რაოდენობით მინერალური სასუქები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ეს შესაძლებელს გახდის მკვეთრად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, გადიდდეს მოსავალი, უზრუნველყოფილ იქნას ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის უხვად მომარაგება ფართო ასორტიმენტის, კარგი ხარისხის, იაფი კარტოფილითა და ბოსტნეულით მთელი წლის განმავლობაში.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა გამოავლინა და სერიოზულად გააკრიტიკა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებანი. სოფლის მეურნეობის ეს სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი დარგი დიდხანს იყო უყურადღებოდ მიტოვებული, რამაც გამოიწვია რძის, კარაქის, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მწვავე ნაკლებობა ჩვენს ქვეყანაში. 1949 წელს დაწყებულმა ცდამ, რომ შემუშავებული და განხორციელებული ყოფილიყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა, ვერ მოიტანა სასურველი შედეგები, რადგან გადაუჭრელი რჩებოდა მეცხოველეობის აღმავლობის ძირეული საკითხები: საკვების წარმოების გადიდება, მეცხოველეობის საადგომების მშენებლობა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება.

გამოავლინეს რა მეცხოველეობის ჩამორჩენის მიზეზები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმებმა განიხილეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანა მთელი სოფლის მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობის ამოცანასთან მჭიდრო კავშირში. უამირი მიწების ათვისება და მარცვლეულის წარმოების გადიდება პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა.

ამასთანავე პარტიამ შეიმუშავა და განახორციელა მეცხოველეობის აღმავლობის, უწინარეს ყოვლისა მისი საკვები ბაზის განმტკიცების სხვა გადაუდებელი ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სიმინდის წარმოების გადიდებას. თუ 1953 წელს ჩადებული იყო მხოლოდ 32 მილიონი ტონა სილოსი, 1958 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩადეს 148 მილიონი ტონა სილოსი, აქედან 108 მილიონი ტონა სიმინდის სილოსი.

პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს და განახორციელეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებულობის გაძლიერებისა და მეცხოველეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლიან დარგად გადაქცევის ღონისძიებანი. პარტიულმა ორგანიზაციებმა მეცხოველეობაში სამუშაოდ გაგზავნეს ასეული ათასობით კომუნისტი და კომკავშირელი. ფერმები განამტკიცეს ზოოტექნიკოსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტების კადრებით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განხორციელდა მუშაობა ფერმების გასამსხვილებლად, ფართოდ გაიშალა მეცხოველეობის საადგომთა მშენებლობა, ინერგება ფერმებში ყველაზე შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ წლებში აღმოფხვრილ იქნა მეცხოველეობის დიდი ხნის ჩამორჩენა, გადიდდა პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება. ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვეუმჯობესებინა მოსახლეობის მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებით, ხოლო მსუბუქი მრეწველობისა — ნედლეულით. ხორცის წარმოება დაკლული პირუტყვის წონით 1958 წელს გადიდდა 1953 წელთან შედარებით 2,1 მილიონი ტონით, რძისა — 21,3 მილიონი ტონით, მატყლისა — 86 ათასი ტონით, კვერცხისა — 7,4 მილიარდი ცალით. ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1955 წ.) პლენუმის მიერ დასახული ამოცანა, რომ 1960 წელს გადიდებულიყო ძროხის წველადობა 1.700 კილოგრამამდე და რძის სახელმწიფო დამზადება 1,8-ჯერ, შესრულებულ იქნა გადაჭარბებით უკვე 1957 წელს, ესე იგი სამ წელიწადში ნაცვლად ექვსი წლისა. ახლა საბჭოთა კავშირი რძისა და კარაქის წარმოების საერთო მოცულობით პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში, მატყლის წარმოებაში მას მეორე ადგილი უჭირავს.

1958 წელს 1953 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 24 პროცენტით, აქედან ძროხისა — 28 პროცენტით, ღორის სულადობა გადიდდა 41 პროცენტით და ცხვრისა — 29 პროცენტით. განვლილ პერიოდში მეცხოველეობის განვითარების დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მატება მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ საშუალო მატებას მთლიანად ჩვენს ქვეყანაში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა საერთო დამზადებაში 1958 წელს შეადგენს: ხორცისა — 84 პროცენტს, რძისა — 89 პროცენტს, კვერცხისა — 57 პროცენტს და მატყლისა — 90 პროცენტს. ამრიგად, მეცხოველეობის პროდუქტებით სახელმწიფოს უზრუნველყოფაში გადამწყვეტ ძალას ახლა წარმოადგენენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ეს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ ამასთანავე კომუნისტური მშენებლობის მთელი საქმის ერთ-ერთი შესანიშნავი გამარჯვებაა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის საფუძველზე მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ფართო მოძრაობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ამ პირობებში, როცა მნიშვნელოვანი წარმატებები არის მიღწეული უკანასკნელი წლების მანძილზე მეცხოველეობის განვითარებაში, ყველა ოლქმა და რაიონმა როდი გამოიყენა სავსებით მათს განკარგულებაში არსებული შესაძლებლობანი.

თუ უკრაინის სს რესპუბლიკაში ვინიცის, ხერსონის, კიევის, ჩერნოვიცისა და ლვოვის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ოთხ წელიწადში (1953-1957 წლებში) ხორცის წარმოება გაადიდეს 1,7-2-ჯერ და უფრო მეტად, ჟიტომირის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცის წარმოება ამ დროის მანძილზე გადიდდა მხოლოდ 7 პროცენტით, ლუგანსკის ოლქისა — 10 პროცენტით, სტალინოს ოლქისა — 23 პროცენტით, პოლტავის ოლქისა — 25 პროცენტით.

კრასნოდარის მხარის, ვორონეჟის, სარატოვის, ომსკის, სმოლენსკის, კურგანის, ბელგოროდის, კიროვის, სვერდლოვსკის, გორკის ოლქების, ჩუვაშეთის, მარეთისა და უდმურტეთის სს რესპუბლიკებისა და რუსეთის ფედერაციის ზოგიერთი სხვა ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 4 წელიწადში 1,4-1,7-ჯერ გაადიდეს ხორცის წარმოება. ამავე დროს ალტაის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1957 წელს 1953 წელთან შედარებით ხორცის წარმოება მხოლოდ 2 პროცენტით გაადიდეს, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების, კალინინის, ნოვგოროდის, ტიუმენის, ასტრახანის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა — 4-11 პროცენტით. როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცის წარმოება გადიდდა მხოლოდ 5 პროცენტით, მთლიანად ოლქში კი ხორცის წარმოება კიდეც შემცირდა 11 პროცენტით.

ცალკეულ ოლქებში, ისეთ ოლქებში, მაგალითად, როგორიც არის ფსკოვის, ნოვოსიბირსკის, პენზისა და ზოგიერთი სხვა ოლქი, იმ დროს, როცა ხორცის წარმოება საერთოდ გადიდდა ყველა კატეგორიის მეურნეობებში, ხორცი ჯერ კიდევ ცოტა იწარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ყაზახეთის, ყირგიზეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებში, დაღისტნის ასს რესპუბლიკაში, ხაბაროვსკის მხარეში, პერმის, კოსტრომისა და იაროსლავლის ოლქებში ხორცის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ დროის მანძილზე კიდეც შემცირდა. ამ რესპუბლიკებისა და ოლქების ხელმძღვანელებს მხედველობიდან ეპარებათ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი მწარმოებელნი ჩვენს ქვეყანაში არიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და რომ მათი წარმოების დონეზე დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

რძის წარმოების გადიდებაში რეზერვების უნარიანი გამოყენება გვიჩვენეს უკრაინის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებშიც განვლილი ხუთი წლის მანძილზე რძის მთლიანი პროდუქცია გადიდდა 2,7-ჯერ, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა — 3,3-ჯერ, მოლდავეთის სს რესპუბლიკისა — 4-ჯერ. კურსკის, რიაზანის, ორიოლის, ვორონეჟის, ლიპეცკის, კიროვის, კალუგის, ბელგოროდის, ტამბოვის, ბრიანსკის, გორკის, ტულის ოლქების, უდმურტეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, მარეთის, ჩუვაშეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ პერიოდში რძის მთლიანი პროდუქცია გაადიდეს 2,8-3-ჯერ და მეტად. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე რძის წარმოებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია მოსკოვის ოლქმა, რომელმაც 1958 წელს მიიღო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 308 ცენტნერი, ლენინგრადის ოლქმა — 249 და კალინინგრადისამ — 242 ცენტნერი რძე. ამავე დროს ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვის რძის პროდუქტიულობის გადიდების რეზერვები ჯერჯერობით კიდევ სუსტად არის გამოყენებული და რძის წარმოება ას ჰექტარ მიწაზე კვლავ არასაკმარისია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

მეცხოველეობის დარგში მომავალ შვიდწლედში მიჩნეულ იქნას მთავარ ამოცანად ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის მკვეთრი გადიდება და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდება იმ მიზნით, რომ 1965 წელს ხორცის წარმოება დაკლული პირუტყვის წონით აყვანილ იქნას სულ ცოტა 16 მილიონ ტონამდე, რძის წარმოება — 100-105 მილიონ ტონამდე, მატყლისა — დაახლოებით 548 ათას ტონამდე და კვერცხისა — 37 მილიარდ ცალამდე.

ამჟამად უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი საქმეა ხორცის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე.

ამ ამოცანის შესრულება, განსაკუთრებით შვიდწლედის პირველ წლებში, უნდა ხდებოდეს მეღორეობისა და მეფრინველეობის უსწრაფესი განვითარების გზით. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდი რაოდენობით რომ მიიღებენ ღორის ხორცსა და ფრინველის ხორცს, შეძლებენ მნიშვნელოვნად გაადიდონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის სულადობა, რათა შემდგომ წლებში მეტი აწარმოონ ძროხისა და ცხვრის ხორცი.

უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს წიწილების გამოზრდა და გამოკვება მარტივ და იაფ შენობებში, ისე რომ მთელი წლის მანძილზე თანაბარზომიერად ვაწარმოოთ ფრინველის ხორცი შრომის მცირე დანახარჯით. იხვის, ინდაურისა და ბატის მასობრივი გამოზრდა. მოეწყოს დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო ფრინველის ფაბრიკები და მეფრინველეობის სპეციალიზებული ფერმები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცურავი ფრინველის მოშენებას რუსეთის სფსრ ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი ზონის რაიონებში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, ციმბირში, სამხრეთ ურალში, ჩრდილოეთ ყაზახეთში, შორეულ აღმოსავლეთსა და სხვა რაიონებში, სადაც ბევრი წყალსატევია.

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგისპირეთში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და სხვა რაიონებში, რომელთაც ველიანი საძოვრების დიდი მასივები მოეპოვებათ, საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მალემზარდი სახორცე მესაქონლეობა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა გახდეს პირუტყვის საძოვარზე და ბაგაზე გასუქების ფართო მასშტაბით მოწყობა, ერთჯერადი დაგოჭიანების მიღება, აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის ყიდვა კოლმეურნეთაგან და მისი გამოზრდა სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად. უნდა შეწყდეს არასწორი პრაქტიკა, როცა ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მიჰყიდის ხოლმე სახელმწიფოს ცუდი სიმსუქნისა და დაბალი წონის პირუტყვს. გაუსუქებელი პირუტყვის ჩაბარება მიჩნეულ უნდა იქნას შეუწყნარებელი უყაირათობის გამოვლინებად, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს, იწვევს ხორცის რესურსების შემცირებას ჩვენს ქვეყანაში. გამოიყენონ ხორცის წარმოების გადიდების დამატებითი რეზერვები, კერძოდ, ფართოდ მოაწყონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასუქება კვების მრეწველობის საწარმოთა ნარჩენით, რისთვისაც შექმნან საკოლმეურნეოთაშორისო სამსუქებლო პუნქტები შაქრის, სპირტისა და სხვა ქარხნებთან, მნიშვნელოვნად დიდი ოდენობით განავითარონ მეკურღღლეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ხორცის წარმოების გადიდებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და ოლქების, რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი უწინარეს ყოვლისა უნდა შეფასდეს მეცხოველეობის ამ უმნიშვნელოვანესი პროდუქტის წარმოების დონის მიხედვით.

რძის წარმოების გადიდებისათვის ახლანდელ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძროხის სულადობის ზრდას. ამიტომ მეცხოველეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებელი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა იყოს პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხების სიმრავლე ას ჰექტარ მიწაზე. ამასთან არ შეიძლება შენელდეს ყურადღება მეწველი პირუტყვის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისა და რძის ცხიმის პროცენტის გადიდებისადმი.

საჭიროა გაუმჯობესდეს სანაშენო საქმე, გადიდდეს ჯიშიანი პირუტყვის რაოდენობა, ფართოდ გამოყენებულ იქნას მაღალპროდუქტიული სანაშენო ცხოველები ხელოვნური განაყოფიერებისათვის.

მომავალ შვიდწლედში მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს მატყლის წარმოება, უმთავრესად ნაზი და ნახევრად ნაზი მატყლის, კრაველის, საბეწვიულო და საქურქე ცხვრის ტყავის, აგრეთვე ცხვრის ხორცის წარმოება რომელიც ძირითადი სახეობის ხორცს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში. ამ მიზნით საჭიროა ყოველ ღონისძიებით განვითარდეს მეცხვარეობა, განსაკუთრებით ყაზახეთში, ყირგიზეთსა და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებში, ციმბირის, სამხრეთ ურალის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ნაკლებად ათვისებული საძოვრების დიდი ფართობებია.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში გადამწყვეტი პირობაა საკვები ბაზის განმტკიცება და უწინარეს ყოვლისა სიმინდის წარმოების გადიდება. ახლა ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უკვე აითვისა სიმინდის მოყვანის აგროტექნიკა. დიდ ფართობებზე სიმინდის უხვი მოსავლის მიღების შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გაშალონ ბრძოლა 500-600 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასის (ღერო და ტარო) მიღებისათვის. ხოლო არასაკმარისი ტენიანობის რაიონებში დაახლოებით 300 ცენტნერის მიღებისათვის ჰექტარზე, რაც შესაძლებლობას მისცემს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას სრულიად საკმარისად ჰქონდეთ საკვები.

სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ცალკეული ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილის. შაქრის ჭარხლის, ბოჩეული კულტურების საკვები მიზნით წარმოება, გაფართოვდეს სამყურას, იონჯას, ცერცვლა-შვრია ნარევის, ხანჭკოლისა და ცილით მდიდარი სხვა კულტურების ნათესები, აგრეთვე მოეწყოს ცილოვანი და მინერალური საკვების სამრეწველო წარმოება. საჭიროა უფრო ფართოდ გავრცელდეს ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიის სს რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების მუშაობის გამოცდილება სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების, აგრეთვე მრავალწლიანი საძოვრების შექმნისათვის.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობასა და იმაზე, რომ მეცხოველეობის საჭიროებისათვის, როგორც ეს გათვალისწინებულია საკონტროლო ციფრებით შვიდწლედის დამლევისათვის გამოიყოს 85-90 მილიონი ტონა კონცენტრირებული საკვები.

საბჭოთა კავშირის სოციალისტურ სოფლის მეურნეობას აქვს ისეთი რეზერვები და შესაძლებლობანი, რომ თუ მათ უნარიანად გამოიყენებენ, ხორცის, რძის, კარაქისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დავალებანი. რაც დასახულია საკონტროლო ციფრებით, არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შესრულდება როგორც მოცულობის, ისევე დროის მიხედვით. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველ ღონისძიებით უნდა წაახალისონ მოწინავე ადამიანთა ინიციატივა. რომლებმაც დაიწყეს მოძრაობა იმისათვის, რომ მოკლე ვადაში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მხრივ, როცა ამ მოძრაობაში ჩაებმება ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, ხოლო პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ჩაუდგებიან სათავეში ამ მოძრაობას, გეგმური დავალებანი შესრულდება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით და ამით განხორციელდება ჩვენი სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა მოწოდება — დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივ.

საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ განვლილ ხუთ წელიწადში შესრულებულია დიდი მუშაობა საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ამ ხნის მანძილზე, უმთავრესად ყამირ მიწებზე, შექმნილია ბევრი ახალი და გაფართოებულია არსებული საბჭოთა მეურნეობები. საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ფონდები გადიდდა 1958 წელს 1953 წელთან შედარებით 2,3-ჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მათ ჩაბარებაში. 1958 წელს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 1 მილიარდ 371 მილიონი ფუთი პური, მაშინ როცა 1953 წელს მათ ჩააბარეს სულ მხოლოდ 225 მილიონი ფუთი მარცვლეული. არსებითი ცვლილებები მოხდა საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის განვითარებაშიც. თუ 1953 წელს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 1 მილიონ 855 ათასი ტონა რძე, 1958 წელს მათ ჩააბარეს 4 მილიონ 900 ათასი ტონა, ხორცი შესაბამისად 637 ათასი ტონა და 1 მილიონ 240 ათასი ტონა, მატყლი — 33 ათასი ტონა და 89,7 ათასი ტონა.

ამასთანავე ბევრი საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობს, ვერ იყენებს მარცვლეულის, ხორცის, რძის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობას, იღებს საკვები კულტურების მეტად მცირე მოსავალს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების და განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების თვითღირებულება რიგ საბჭოთა მეურნეობებში კვლავ

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გაზრდების ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, მიღებული 1958 წლის 19 დეკემბერს

(გაგრძელება)

მაღალია. ნელა ვითარდება მეცხოველეობა ახალ ყამირის საბჭოთა მეურნეობებში.

1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასახულია მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდების, აგრეთვე ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების კარტოფილითა და ბოსტნეულით მომარაგების ახალი ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებსა და რაიაღმასკომებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობების მუშაობა აყვანილ იქნას უფრო მაღალ დონეზე. საჭიროა საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ყურადღება უწინარეს ყოვლისა მიექცეს იმას, რომ გაადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, პირუტყვის სულადობა ფერმებში და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების ყველაზე მომჭირნედ დახარჯვით.

წინადადება მიეცეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მიიღონ გადაუდებელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ უახლოეს წლებში ღაამთავრონ საბჭოთა მეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული მშენებლობა საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო სათავსებისა და საცხოვრებელი სახლებისა, განახორციელონ შრომატევადი სამუშაოების, განსაკუთრებით მარცვლეულის გაწმენდისა და გახმობის სამუშაოების მექანიზაცია, გააუმჯობესონ მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები იმ ანგარიშით, რომ საბჭოთა მეურნეობებს ეყოლოთ მუდმივი კადრები ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესასრულებლად და არ გაიგზავნონ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან მუშები, მოსამსახურეები და სტუდენტები მოსავლის ასაღებად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ საბჭოთა მეურნეობებმა წამყვანი როლი უნდა შეასრულონ ჩვენს ქვეყანაში ჯიშიანი თესლის წარმოებასა და სანაშენო ცხოველთა გაზრდაში. ამ მიზნით საჭიროა მნიშვნელოვნად გაფართოონ მეთესლეობისა და სანაშენო საბჭოთა მეურნეობების ქსელი, რათა მათ უზრუნველყონ ძირითადად ქვეყნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება ჯიშიან თესლსა და მაღალპროდუქტიულ სანაშენო ცხოველებზე.

საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საზოგადოებრივ წარმოებაში უფრო აქტიური ჩაბმის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობაში მოეწყოს საბავშვო ბაღები და ბაგები, აგრეთვე კარგი სასადილოები, რომლებშიც საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებს შეეძლებათ გემრიელად და ხელმისაწვდომ ფასებში იკვებონ ან შინ წაიღონ სადილები.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი მოწინავე საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივას, რომლებიც სწორად აყენებენ საკითხს თავიანთი პირუტყვის მოყიდვის შესახებ საბჭოთა მეურნეობებისათვის. საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პირადი მოთხოვნილება ხორცზე, რძესა და სხვა პროდუქტებზე შეიძლება დაკმაყოფილდეს საბჭოთა მეურნეობების პროდუქციით, საჭირო აღარ არის, რომ საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს ჰყავდეთ თავიანთი ძროხები. საჭიროა, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები კარგად მოემზადონ ამ მომწიფებული ღონისძიების განსახორციელებლად. რათა თანდათან. ორი-სამი წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებმა იყიდონ პირუტყვი თავიანთი მუშა-მოსამსახურეებისაგან. ამასთან უზრუნველყონ მათი მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებით.

საბჭოთა მეურნეობებმა უნდა იკისრონ ზრუნვა იმისათვის, რომ დაკმაყოფილონ მუშა-მოსამსახურეთა მთელი მოთხოვნილება ბოსტნეულსა და კარტოფილზე, მიჰყიდონ მათ ბოსტნეული, კარტოფილი, აგრეთვე რძისა და ხორცის პროდუქტები თვითღირებულებით. მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო ცალობრივი ფასებისა.

ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და მოსამსახურეებს აღარ დასჭირდებათ აწარმოონ პირადი მეურნეობა. გადიდდება ოჯახების შემოსავალი საბჭოთა მეურნეობაში მიღებული ხელფასის ხარჯზე, მათ მეტი დრო ექნებათ დასვენებისათვის. კულტურული დონის ამაღლებისათვის, სწავლისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების, საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშისა და სპეციალისტის ამოცანა ის არის, რომ სულ მოკლე დროში გადააქციონ ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო მეურნეობად. საბჭოთა მეურნეობები უნდა ავიდნენ ახალ საფეხურზე, უკეთ გამოიყენონ მიწა და ტექნიკა. უჩვენონ მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი გაძღოლის მაგალითი, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია და სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაციის საკითხები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რათა პრაქტიკულად განეხორციელებინათ პარტიის გადაწყვეტილება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ. ახლებურად მუშაობის უკვე პირველმა წელმა დაგვანახვა, რომ კოლმეურნეობათა ხელში წარმოების იარაღებისა და საშუალებათა შეერთებამ ახალი შესაძლებლობანი შექმნა სოფლის მეურნეობის მწარმოებლური ძალების აღმავლობისათვის. ეკონომიურად განმტკიცებულმა კოლმეურნეობებმა შეძლეს არა მარტო ყიდვა ტექნიკისა, არამედ მისი უკეთ გამოყენებაც.

წინადადება მიეცეთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უახლოეს დროში დაამთავრონ მუშაობა მტს-ების რეორგანიზაციისათვის. აგრეთვე მიიღონ საჭირო ღონისძიებანი სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაობის გასაუმჯობესებლად, არამწარმოებლური ხარჯების ყოველი ღონისძიებით შესამცირებლად, შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების შესამცირებლად.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მთავარი ახლა ის არის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უფრო სრულყოფილი ტრაქტორებითა და კომბაინებით შემდგომ აღჭურვასთან ერთად მოეწყოს საკმაო რაოდენობით სოფლის მეურნეობისათვის მეტად საჭირო სხვა მანქანების და უწინარეს ყოვლისა ისეთი მანქანების გამოშვება, რომელთა გამოყენება კოლმეურნეებს გაათავისუფლებს მძიმე და მცირემწარმოებლური შრომისაგან, შესაძლებლობას შექმნის გაფართოოონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მიიღონ მეტი პროდუქცია შრომისა და სახსრების ნაკლები დანახარჯით.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დააჩქარონ მუშაობა ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის. სელის, თამბაქოს მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების სისტემის, აგრეთვე ბაღებისა და ვენახების დასამუშავებელი და მოსავლელი მანქანების სისტემის შესაქმნელად. საჭიროა უწინარეს ყოვლისა ბამბის საკრეფი, ჭარხლის ასაღები და კარტოფილის ასაღები მანქანების ათვისება და სრულყოფა. მოკლე ვადაში უნდა გადაიჭრას დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სატრანსპორტო სამუშაოთა პრობლემა, შეიქმნას თვის ასაღები და ნამჯის საწნეხი, სამელიორაციო სამუშაოთა მექანიზაციის, ტორფის, კირისა და სხვა ადგილობრივი სასუქების დასამზადებელი მანქანები და უზრუნველყოფილ იქნას ამ ტექნიკით სოფლის მეურნეობა საჭირო რაოდენობით.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და საწარმოთა დირექტორებს 1959 წლიდან მოყოლებული უზრუნველყონ ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, ავტოტრაქტორის ელექტრომოწყობილობის წარმოება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სახალხო მეურნეობის სრული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დეტალების სრული ნომენკლატურით, რათა მოეწყოს მათი თავისუფალი, შეუზღუდველი მიყიდვა მომხმარებლებისათვის.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სამუშაოთა განხორციელება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციისათვის მომავალ შვიდწლედში და ამ საფუძველზე შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა მეცხოველეობის ფერმებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და საწარმოთა დირექტორებმა მოაწყონ მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობით საწველი აპარატების, ცხვრის საპარსი მექანიზმების, ინკუბატორების, საკვებდასამზადებელი მანქანების, მექანიზებული საკვებურების, სატრანსპორტო მოწყობილობისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სხვა მოწყობილობის წარმოება და გამოყოფა სოფლის მეურნეობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ინჟინერ-ტექნიკური კადრებით განმტკიცებაში, გამოიჩინონ ყოველდღიური ზრუნვა ტრაქტორისტთა, კომბაინერთა და მექანიზატორთა სხვა კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რათა ტექნიკა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უფრო მწარმოებლურად იქნას გამოყენებული.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი თაქტორი გახდა. ახლა ქალაქების მშრომელები იღებენ მეტ კვების პროდუქტს, განსაკუთრებით ისეთ ძვირფას პროდუქტებს, როგორიც არის რძე. კარაქი. ხორცი, შაქარი. აგრეთვე ბოსტნეული და ხილი. გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, საქონლიანობის გადიდების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი, გადიდდა მათი განუყოფელი ფონდები და ამ საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

თუ 1952 წელს კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 42,8 მილიარდი მანეთი, 1957 წელს შემოსავალი გადიდდა 95,2 მილიარდ მანეთამდე. შრომადღეების ნატურალური და ფულადი ანაზღაურების საერთო თანხა გადიდდა შესადარ ფასებში 1952 წლის 47,5 მილიარდი მანეთიდან 83,8 მილიარდ მანეთამდე 1957 წელს. კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი 1958 წელს დიდდება 1952 წელთან შედარებით 1,6-ჯერ.

მწარმოებლური ძალების განვითარებასთან, საკოლმეურნეო სოციალისტური საკუთრების განმტკიცებასთან ერთად იცვლება არა მარტო წარმოებრივი, არამედ სოფლის ცხოვრების კულტურული პირობებიც. იცვლება საკოლმეურნეო სოფლის სახე.

ბევრი კოლმეურნეობა გარდაქმნის თავის სოფლებს, ყიშლაღებს, აულებს. უკანასკნელ ხუთ წელიწადში კოლმეურნეებმა კოლმეურნეობათა დახმარებით ააშენეს 3,3 მილიონი საცხოვრებელი სახლი, კოლმეურნეობები აშენებენ საბავშვო ბაღებსა და ბაღებს, სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს, საავადმყოფოებსა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს, რომლებსაც თითქმის არ იცნობდა ძველი სოფელი. თანამედროვე პირობებში ეკონომიურად განმტკიცებულ კოლმეურნეობებს საბავშვო ბაღებისა და ბაგების, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობასთან ერთად შესაძლებლობა აქვთ შექმნან ჰურის საცხობები, სამრეცხაოები და საზოგადოებრივი სასადილოები.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდასთან ერთად თანდათანობით დაკარგავს თავის მნიშვნელობას კოლმეურნეთა პირადი მეურნეობა. კოლმეურნეებისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება მიიღონ პროდუქტები კოლმეურნეობიდან, ვიდრე დახარჯონ თავიანთი შრომა მათ წარმოებაზე პირად მეურნეობაში. ეს ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას და დიდ შემსუბუქებას მოუტანს კოლმეურნეებს და განსაკუთრებით კოლმეურნე ქალებს. შესაძლებლობას მისცემს მათ ჰქონდეთ მეტი დრო დასვენებისათვის, განათლებისათვის, კულტურული ზრდისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

საკოლმეურნეო წყობილების სასიცოცხლო ძალის, სიმტკიცისა და განვითარების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი წყაროა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები, რომლებსაც ქმნიან ისინი მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მონაწილეობით. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები წარმოადგენენ კოოპერაციული სოციალისტური საკუთრების საფუძველს. განუყოფელი ფონდების გადიდება, მათი სწორი გამოყენება, საკოლმეურნეო საკუთრების გაზმტკიცება და განვითარება, თანდათანობითი დაახლოება და შემდგომი სრული შეერთება საერთო სახალხო საკუთრებასთან შეესაბამება ჩვენი ხალხის ინტერესებს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საწარმოო ურთიერთობის განვითარებასა და გაფართოებას კოლმეურნეობათა შორის, მხარი დაუჭირონ კოლმეურნეობათა ინიციატივას და გაუწიონ დახმარება მათ ელექტროსადგურების, სარწყავ და სამელიორაციო ნაგებობათა, გზების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების საწარმოთა, მშენებლობის და სამენ მასალათა წარმოების კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების ერთობლივი მშენებლობის ორგანიზაციაში.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება გადამწყვეტი ზომით არის დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი კვლავაც გაიზრდება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების, სოფლის მეურნეობის მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის წარმოების გადიდების კვალობაზე. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდა არა პროდუქტების ფასის გადიდების გზით, არამედ პროდუქციის მთლიანი მოსავლის გადიდების გზით, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ამაღლების, თვითეულ მომუშავეზე პროდუქციის გამომუშავების გადიდების გზით. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება მიღწეულ იქნას კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის განუხრელი გადიდება.

შვიდწლიანი გეგმის ძირითად დავალებათა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ზოგიერთ საკითხთა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების ყრილობისწინა განხილვა იმას მოწმობს, რომ მომავალ შვიდწლედში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დასახულ პროგრამას ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს მთელი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი. ეს პროგრამა სახავს სწორ პროპორციებს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებაში, ამასთან გათვალისწინებულია კვების პროდუქტებსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მოსახლეობისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

საკონტროლო ციფრების განხილვის მსვლელობაში ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მშრომელები აღნიშნავენ, რომ ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას შესაძლებლობა აქვს არა მარტო უთუოდ შეასრულოს დასახული საგეგმო დავალებანი, არამედ კიდევაც გადააჭარბოს მათ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იწონებს დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, და წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს დარაზმონ მთელი ძალები იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამ ეტაპზე.

ახლა რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოაწყონ მომავალი შვიდწლედისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეზერვების გამოვლინებას და უფრო სრულ გამოყენებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდებისათვის პროდუქციის ერთეულზე შრომისა და სახსრების სულ მცირე დანახარჯით. გეგმების შემუშავებაში ფართოდ უნდა მივიზიდოთ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რათა ნამდვილად ღრმად და ყოველმხრივ გავერკვეთ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გამოვარკვიოთ თუ მოცემულ მეურნეობაში რა შესაძლებლობათა საშუალებით შეიძლება გადიდდეს მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რომელი კულტურების მოყვანის გზით შეიძლება მკვეთრად გადიდდეს საკვების წარმოება მეცხოველეობისათვის. გეგმების დამუშავება თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით დავალებათა უბრალო განაწილება კი არ არის, არამედ თვითეული მეურნეობის შესაძლებლობათა, იქაური საქმის ვითარებისა და ხელმძღვანელობის დონის ღრმა შესწავლაა.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანების წარმატებითი შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა სოფლად პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ყოველი ღონისძიებით ამაღლება. მათი გავლენის გაძლიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო გეგმების შესრულების მსვლელობაზე. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტებმა და რაიკომებმა უნდა გაუმჯობესონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, მათი ყურადღება მიაპყრონ მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებას, უფრო აქტიურ მონაწილეობას წარმოების ორგანიზაციის, მეურნეობის ეკონომიკის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხთა გადაჭრაში.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი ადგილებზე სახელმწიფო და პარტიული ორგანოების სტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესებისა და შტატების შემცირებისათვის, მათი ხელმძღვანელობის მეთოდებისა და მუშაობის სტილის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს. რომ განვლილ ხუთ წელიწადში ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიის სასოფლო რაიკომებში. რაიაღმასკომებში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნა მრავალათასობით კვალიფიციური სპეციალისტი და გამოცდილი ორგანიზატორი. ამან კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანის შესრულებაზე. საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალი ეტაპი, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების დიდი ამოცანები მოითხოვენ ორგანიზაციული და პოლიტიკური ხელმძღვანელობის უფრო მაღალ დონეს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ტექნიკის ღრმა ცოდნას. საქმის წარმატება დამოკიდებული იქნება უწინარეს ყოვლისა ჩვენი კადრების იმ უნარზე, რომ სათავეში ჩაუდგნენ საყოველთაო სახალხო ბრძოლას შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის, ორგანიზატორთა იმ ნებასა და უნარზე, რომ დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების კონკრეტულ და გადაუდებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, ეკონომიკისა და ტექნიკის ღრმა ცოდნას. საქმის წარმატება დამოკიდებული იქნება უწინარეს ყოვლისა ჩვენი კადრების იმ უნარზე, რომ სათავეში ჩაუდგნენ საყოველთაო სახალხო ბრძოლას შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის, ორგანიზატორთა იმ ნებასა და უნარზე, რომ დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების კონკრეტულ და გადაუდებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს კვლავაც აწარმოონ მუშაობა რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად კვალიფიციური კადრებით. საჭიროა გადაჭრით მოიშორონ უვარგისი მუშაკები, რომლებსაც უნარი არ შესწევთ თავი გაართვან მინდობილ საქმეს. საჭიროა არა მარტო შეცვალონ ზოგი მუშაკი სხვა მუშაკით, არამედ დააწინაურონ ღირსეული, მცოდნე, კულტურული ხელმძღვანელები, რომლებსაც შეუძლიათ კარგად მოაწყონ საქმე და გაუძღვენ მასებს პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა წარმოების, შრომის ნორმირების, აღრიცხვისა და ანაზღაურების სწორი ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. ამჟამად პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯის საზომი კოლმეურნეობებში არის შრომადღე, თუმცა იგი არ ასახავს შრომის ან დროის კონკრეტულ რაოდენობას, რაც კოლმეურნეებმა დახარჯეს პროდუქციის ერთეულზე. ამიტომ ბევრი კოლმეურნეობა შრომადღეებით შრომის შეფასების ნაცვლად აწესებს შრომის აღრიცხვისა და ანაზღაურების ახალ უფრო პროგრესულ ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებულობის გაძლიერებას. რესპუბლიკების, მხარეებისა და რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყოველნაირად უნდა დაუჭირონ მხარი კოლმეურნეობათა ინიციატივას ამ საქმეში, ზედმიწევნით შეისწავლონ მათი გამოცდილება განაზოგადონ იგი და ყოველივე საუკეთესო ურჩიონ კოლმეურნეობებს ფართოდ გამოყენებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა სოფლის მეურნეობის მეცნიერებამ თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების შემდგომ განვითარებაში და დიდ დახმარებას უწევს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას. გამოვლენილია მარცვლეული, ზეთოვანი, ბოსტნეული კულტურების ძვირფასი ჯიშები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ცხვრის, ღორის და ფრინველის დიდად ნაყოფიერი ახალი ჯიშები, შეიქმნა ბევრი კარგი მანქანა, შემუშავებულ და დანერგილია პრაქტიკაში რიგი მოწინავე აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ხერხები. მაგრამ ამასთანავე სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობამ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება და მეცნიერი მუშაობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მოწყვეტით, მათ კვლევის თემები ხშირად ხელოვნურად არის შექმნილ და მათ სასარგებლო არაფერი შეაქვთ მეცნიერებაში. აგრეთვე სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში.

ახლანდელ ეტაპზე მეცნიერების როლი და მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია. უნდა გაიზარდოს. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი მოვალენი არიან შეიმუშაონ რეკომენდაციები მარცვლეულის მეურნეობის, მეცხოველეობის ყველაზე ეფექტიანი გაძღოლის, ტექნიკური კულტურების წარმოების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების განვითარების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მექანიზაციის, შრომის ნორმირების აღრიცხვისა და ანაზღაურების ორგანიზაციის და ბევრ სხვა საკითხებზე.

პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად და საკმის ცოდნით უნდა ჩასწვდნენ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობას და დახმარება გაუწიონ მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში. საჭიროა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ შეიმუშაონ სამეცნიერო-საკვლევ და-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების დასასრული

წესებულებათა და საცდელ სადგურთა დაფინანსების წესი, მეცნიერულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების სისტემა, რათა სამეცნიერო დაწესებულებათა დაფინანსებამ და მუშაკთა შრომის ანაზღაურებამ უზრუნველყოს ისეთი მეცნიერული კვლევის გაშლა, რომელიც ნამდვილად დაეხმარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებას, მეცნიერების წინსვლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს განახორციელონ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი, უზრუნველყონ მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების გამოშვების, აგრეთვე ჩვენების საქმის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებზე წიგნების გამოცემის გაფართოება და მათი ხარისხის გაუმჯობესება.

უმაღლესი და საშუალო სკოლის მუშაობის გარდაქმნასთან, წარმოებასთან სკოლის კავშირის გაძლიერებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეემატება ასეულ ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებიც საშუალო სკოლებს ამთავრებენ. ეს მოითხოვს, რომ კომკავშირმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა სოფლის ახალგაზრდობაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა მუდამ უნდა იზრუნონ სოფლად კომკავშირულ ორგანიზაციათა ზრდისა და განმტკიცებისათვის, უფრო გაბედულად მიაღებინონ მათ მონაწილეობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში, დაეხმარონ სოფლის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომ ისინი დაეუფლონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს, ყოველი ღონისძიებით განავითარონ შეჯიბრება, მხარი დაუჭირონ პატრიოტულ მოძრაობას, რომელიც წარმოიშვა კომკავშირის ინიციატივით,— კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სარემონტო ტექნიკური სადგურებში.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ გასულ წუთ წელიწადში პარტიამ უდიდესი მუშაობა შეასრულა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დასაძლევად და ყველა მისი დარგის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებით კანონიერად ამაყობს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, მაგრამ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ამ წარმატებებმა შეასუსტონ ჩვენი მისწრაფება ბრძოლისადმი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ მოგველის უდიდესი მუშობა, რომ რაც გაკეთებულია, ეს მხოლოდ დასაწყისია. მიღწეული წარმატებები ბიძგი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობისადმი, რათა საბჭოთა ადამიანებმა უხვად მიიღონ კვების უაღრესად საჭირო პროდუქტები, ხოლო მრეწველობამ ნედლეული.

კომუნისტური მშენებლობის მომავალი შვიდწლედისათვის დიდებულმა პროგრამამ გამოიწვია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მხურვალედ იწონებენ რა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების პროგრამას, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ ეს პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ აქტივობას, ბეჯითად ჩაუნერგონ სოფლის მეურნეობის მშრომელებს მუდმივი მისწრაფება წინსვლისადმი, შრომაში ახალ მაღალ მაჩვენებელთა მიღწევისადმი, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მათ შემოქმედებით ინიციატივას, ნოვატორობას, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

18 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა. დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკის“ დირექტორი ამხ. **ა. ფ. კარპოვი.**

პარტიის სტალინოს ოლქის სტარომლინოვკის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ი. ზ. კრიაუმა** თავის სიტყვაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სიმინდის მოყვანის საკითხებს.

პლენუმის ტრიბუნიდან ორატორი ფრინველის ხორცის წარმოებისათვის შეჯიბრებაში იწვევს კრასნოდარის მხარის კანევის რაიონს. კანევის რაიკომის მდივანი ამხ. კოლესნიკოვი პლენუმზე უკვე გამოვიდა. მან ადგილიდან მისცა რეპლიკა, რომ გამოწვევას იღებს. დარბაზში გაისმა ტაში.

შემდეგ გამოდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ალტაის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. გ. პისანი.** იგი ამბობს, რომ მხარემ უკანასკნელ ხუთ წელიწადში სახე იცვალა. აქ ათვისებულია ყამირის უდიდესი სივრცეები, აგებულია ახალი რკინიგზები. ელევატორები, აშენებულია მუშათა დაბები.

ტრიბუნაზეა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ე. სემიჩასტნი.** ლენინური კომკავშირი, ჩვენი ახალგაზრდობა, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ამბობს იგი, ერთსულოვნად იწონებს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ. ეს ღონისძიებანი შეეფერებიან ახალგაზრდობის სასიცოცხლო ინტერესებს. აი ამიტომ ჩვენი ახალგაზრდობა მგზნებარე ენთუზიაზმით მონაწილეობდა და მონაწილეობს პარტიის ღონისძიებათა განხორციელებაში.

ლენინურმა კომკავშირმა, განაგრძობს ორატორი, ჩვენმა ახალგაზრდობამ, თავისი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. უკანასკნელ წლებში მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ გაიგზავნა 950 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მთელი სოფლის ახალგაზრდობისათვის საბრძოლო საქმე გახდა სიმინდის მოყვანა.

შემდეგ ამხ. სემიჩასტნი ლაპარაკობს სოფლის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში კომკავშირის შემდგომი მონაწილეობის ზოგიერთ საკითხზე. იგი აყენებს საკითხს, რომ დაჩქარდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა ყამირის საბჭოთა მეურნეობებში. უფრო ფართოდ გაიაღდეს სოფლად კლუბების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების მშენებლობა, აგრეთვე გაიხსნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საღამოს სკოლები, საკონსულტაციო პუნქტები, უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებების ფილიალები.

გამოდის სტავროპოლის სახალხო მეურნეობის სამხარეო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნ. ა. ბულგანინი.** იგი ამბობს, რომ მოხსენებამ და გამოსვლებმა პლენუმზე მკაფიოდ და თვალნათლივ გვიჩვენეს, რომ პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს ამხანაგი ხრუშჩოვი, უკანასკნელ წლებში შეასრულა გიგანტური სამუშაო, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

შემდეგ იგი ლაპარაკობს ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობაზე, რომლის მონაწილეც იგი იყო, თავის დამოკიდებულებაზე ამ ჯგუფთან, ლაპარაკობს შეცდომებზე, რომლებიც მან ჩაიდინა პარტიის წინაშე, ამ ჯგუფს რომ დაუკავშირდა. ყველაფერი, რაც თავის მოხსენებაში თქვა ამხანაგმა ხრუშჩოვმა ანტიპარტიულ ჯგუფზე — მოლოტოვზე, მალენკოვზე, კაგანოვიჩზე, ჩემზე, შეპილოვზე და ყველაფერი, რაც აქ გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, აცხადებს ამხ. ბულგანინი, — ყველაფერი სწორია, ყველაფერი სავსებით შეეფერება სინამდვილეს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ანტიპარტიული ჯგუფის წევრებს მუდამ ეკავათ თავიანი განსაკუთრებული პოზიცია, რომელიც არ ეთანხმებოდა ცენტრალური კომიტეტის ხაზს, საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ყველა ძირითად საკითხზე, რომელთა გადაწყვეტა ცენტრალურ კომიტეტს უხდებოდა.

შემდეგ ამხ. ბულგანინი აცხადებს, რომ მისი მუშაობა სახალხო მეურნეობის სამხარეო საბჭოში შესაძლებლობას აძლევს მას დაინახოს პარტიის პოლიტიკისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის და მისი პრაქტიკული მუშაობის მთელი „გენიალობა და სიბრძნე ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 18 დეკემბრის დილის სხდომაზე გამოვიდნენ — აგრეთვე მოსკოვის საოლქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. **ს. ე. ლეონტიევი,** სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. დ. იგნატიევი,** უკრაინის კომპარტიის ჩერკასის რაიკომის მდივანი ამხ. **პ. ს. გოლოვატენკო,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ტუვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. კ. ტოკა,** მოსპროექტის არქიტექტურული სახელოსნოს უფროსი ამხ. **ზ. მ. როზენფელდი,** მოსკოვის საოლქო დამპროექტებელი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **ა. ი. ვასილიევი** და მოსკოვის საოლქო აღმასკომის საშენ მასალათა და საშენ დეტალთა მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. **ტ. ა. ვოსკანიანი.** ამით დამთავრდა დილის სხდომა.

* * *

ცხრამეტ დეკემბერს მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. **ტ. ა. იურკინი.**

სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ზ. ნ. ნურიევი.** მან აღნიშნა, რომ იზრდება და მტკიცდება კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საბჭოთა ბაშკირეთში.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **ვ. ვ. მაცკევიჩი.**

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ამბობს იგი, უნარიანად გამოიყენა სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი უპირატესობანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების სწრაფი აღმავლობისათვის.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაღისტნის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. **ა. დ. დანიალოვს.** მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, აცხადებს იგი, რესპუბლიკაში გაიზარდა ნათესი ფართობები, გაიზარდა მარცვლეულის მთლიანი მოსავალი, იზრდება პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ამასთანავე ამხ. დანიალოვი აღნიშნავს ნაკლოვანებებს დაღისტნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. **დ. მ. მატიუშკინი** ამბობს:

მხარის მშრომელებმა დაისახეს ამოცანა — გადააქციონ ყუბანი დიდად განვითარებული მებაღეობისა და მევენახეობის რაიონად.

როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი ამხ. **ს. ა. სტროკოვი** თავის გამოსვლაში შეეხო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის პრობლემებს.

კამათის დამთავრების შემდეგ პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები“.

საზღვარგარეთ

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუშვეს ხელოვნური თანამგზავრი

ვაშინგტონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა 4 საათსა და 08 წუთზე მოსკოვის დროით გამოაცხადა, რომ დღეს 2 საათსა და 02 წუთზე გაშვებულია დედამიწის ახალი ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც გავიდა ორბიტაზე. ახალი თანამგზავრის მარგი წონა 67,5 კილოგრამია, მატარებელი რაკეტის წონა თანამგზავრთან ერთად უდრის დაახლოებით 3.915 კილოგრამს, ორბიტის მინიმალური სიმაღლე 184 კილომეტრია, ორბიტის მაქსიმალური სიმაღლე — 1.472 კილომეტრი. გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ თანამგზავრი ორბიტაზე იქნება დაახლოებით 20 დღეს.

შტრაუსი — ოკუპანტი

ბონი, 18 დეკემბერი. (საკდესი). ბონის თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა ბავარიის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში კვლავ მოახდინა უხეში გამოხდომა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბერლინის საოკუპაციო რეჟიმის ნაშთების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადებებთან დაკავშირებით.

თუმცა ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც დასავლეთის სახელმწიფოებმა უხეშად დაარღვიეს პოტსდამის შეთანხმების ძირითადი დებულებანი, ამ სახელმწიფოებმა თვითონ დაანგრიეს დასავლეთ ბერლინის ოკუპაციის სამართლებრივი საფუძველი, შტრაუსი, მიუხედავად ამისა, ცდილობდა საბჭოთა წინადადებანი ბერლინის საკითხზე, წარმოედგინა როგორც „სამართლის დარღვევა“. ისწრაფოდა რა რამენაირად გაემართლებინა დასავლეთ ბერლინში დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარების შემდგომი ყოფნა, შტრაუსმა დაიმოწმა გერმანიის ოკუპაციის ზონების შესახებ ანტიჰიტლერული კოალიციის ყოფილ მოკავშირეთა შეთანხმებანი, რომლებმაც თავისი დრო მოუმზეს.

შტრაუსმა გაიმეორა აგრეთვე აბსურდული მტკიცება, თითქოს საბჭოთა წინადადებანი ბერლინის საოკუპაციო სტატუსის ნაშთების აღმოფხვრის შესახებ რაღაც „საფრთხეს“ წარმოადგენს.

დაამახინჯა რა საბჭოთა კავშირის ნამდვილი პოზიცია ბერლინის საკითხში და უგულებელყო რა საბჭოთა მთავრობის წინადადებანი დემილიტარიზებულ, თავისუფალ ქალაქად დასავლეთ ბერლინის გადაქცევის შესახებ, შტრაუსმა საბჭოთა მთავრობას მიაწერა განზრახვა „ხელში ჩაიგდოს მთელი ბერლინი“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობაც კი, რომელიც მთლიანად უჭერს მხარს დასავლეთ გერმანიის მთავრობის უარს ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციაზე და მის მისწრაფებას დასავლეთი ბერლინი გამოიყენოს როგორც საერთაშორისო დაძაბულობის კერა, იძულებული გახდა პროტესტი განეცხადებინა ბავარიის რადიოსათვის შტრაუსის გამონათქვამების წინააღმდეგ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის წარმომადგენელმა შტრაუსის ეს ინტერვიუ დაახასიათა, როგორც „წაქეზება, რომელსაც სარგებლობა არავისთვის არ მოაქვს“.

გუნდლსვერის მანევრები... საფრანგეთში

ბერლინი, 19 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნის საგენტო გადმოგვცემს, გაზეთმა „მიტელ ბაიერიშე ციტუნგმა“, რომელიც რეგენსბურგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გამოდის, დაიმოწმა „ბონის ინფორმირებული წრეები“ და გამოაქვეყნა ცნობა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო აპირებს მოაწყოს დიდი სამხედრო მანევრები ნატოს ქვეყნებში, რომლებიც დასავლეთ გერმანიის მეზობლები არიან, კერძოდ საფრანგეთის ტერიტორიაზე.

ჩვენი საამაყო მოჭადრაკე ქალები

სურათზე: საქართველოს მოჭადრაკე ქალები (მარჯვნიდან) — ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე და ა. ჩაიკოვსკაია მორიგი ტურის წინ არჩევენ პარტიას.

* * *

ფინიშის წინ

ხარკოვი, 19 დეკემბერი. (ტელეფონით). გუშინ აქ მოეწყო სსრ კავშირის ქალთა XX საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გამოტოვებულ და გადადებულ პარტიათა გათამაშება.

პირველობის გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონს კ. ზვორიკინას 2 გადადებული პარტია ჰქონდა ვ. ტიხომიროვასთან და მ. ტოგონიძესთან. პირველ პარტიაში მოწინააღმდეგეთა პოზიცია დაახლოებით თანაბარი იყო და შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა. მეორე გადადებულ პარტიაში კ. ზვორიკინას ზედმეტი პაიკი, უკეთესი პოზიცია და მოსაგები მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ იგი ვერ გაერკვა მ. ტოგონიძის ერთ-ერთ კომბინაციურ სვლაში, წაგო ფიგურა და დანებდა. ამრიგად, კ. ზვორიკინამ, რომელიც ჩემპიონატში წუთგებლად გამოდიოდა, პირველი დამარცხება განიცადა და მნიშვნელოვნად გაიუარესა მდგომარეობა.

ლ. ვოლპერტის წინააღმდეგ გადადებულ პარტიაში ე. კაკაბაძის მიერ ჩაწერილი სვლა სუსტი აღმოჩნდა, რის შედეგად მისი მდგომარეობა თანდათან შეიზღუდა. პარტია ლ. ვოლპერტის გამარჯვებით დამთავრდა.

ვ. ბორისენკომ მოუგო ლ. ნისენბომს, ვ. ტიხომიროვამ — ო. რუბცოვას, თ. სტრანდსტრემმა — ლ. მალინოვას, ტ. ფილანოვსკაიამ—ლ. იაკირს. ო. იგნატიევა — ა. ჩაიკოვსკაიას გამოტოვებული პარტია ო. იგნატიევას გამარჯვებით დამთავრდა.

ლ. ნისენბომმ — ვ. ტიხომიროვას, ო. იგნატიევა — ა. კუშნირის, ი. გურფინკელ — ე. ბიკოვას, ო. რუბცოვა — ტ. ზატულოვსკაიას გადადებულ პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ო. იგნატიევასა და ე. ბიკოვას პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

18 ტურის შემდეგ პირველობის გათამაშების ლიდერია ლ. ვოლპერტი, რომელსაც 17-დან 12 ქულა აქვს. ნ. გაფრინდაშვილსა და კ. ზვორიკინას შეგროვებული აქვთ თერთმეტნახევარ-თერთმეტნახევარი ქულა, ტ. ზატულოვსკაიას — 11 ქულა, ვ. ბორისენკოსა და ა. კუშნირს — ათ-ათი ქულა, ე. ბიკოვას — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია, ო. იგნატიევას — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლ. მალინოვასა და ლ. ნისენბომის—რვანახევარ-რვანახევარი ქულა, მ. ტოგონიძეს, ა. ჩაიკოვსკაიას, ს. როოტარეს, ვ. ტიხომიროვას — შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა.

დღეს გაიმართება მე-19 ტური.

მზადება ჭადრაკში სსრ კავშირის პირველობისათვის

მომავალი წლის იანვარში თბილისში გაიმართება ჭადრაკში სსრ კავშირის XXVI პირველობის ფინალი. ამ შეჯიბრების მოსაწყობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ა. კვაჭაძემ საქდესის კორესპონდენტს განუცხადა:

1959 წლის 9 იანვარს რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში ზეიმით გაიხსნება ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის XXVI პირველობა და მოხდება წილისყრა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის თბილისს ჩამოვა ბევრი გროსმაისტერი და უძლიერესი ოსტატი. მათ შორის — საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი მ. ტალი (რიგა), მსოფლიო ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი (მოსკოვი), იუგოსლავიაში საზონათაშორისო ტურნირის მონაწილენი მოსკოველები ტ. პეტროსიანი, დ. ბრონშტეინი და ი. ავერბახი, აგრეთვე პ. კერესი (ტალინი), ე. გელერი (ოდესა), ლენინგრადელები მ. ტაიმანოვი, ბ. სპასკი და სხვები.

ჩვენი რესპუბლიკიდან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდებისათვის იბრძოლებს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ოსტატი ბ. გურგენიძე.

მსაჯთა კოლეგიას უმეთაურებს საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. ფალავანდიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დააარსა პრიზი ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის XXVI პირველობაში გამარჯვებულისათვის.

ამჟამად გაჩაღებულია მზადება პირველობისათვის. მზადდება საჭადრაკო და სადემონსტრაციო დაფები და ფიგურები, მზად არის მომავალი აფიშების, პროგრამების ფერადოვანი ესკიზები. შეჯიბრების დღეებში დაგეგმილია ყოველდღე გამოშვებულ იქნას სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენი, რომლის ფურცლებზე ფართოდ გაშუქდება შეჯიბრების მიმდინარეობა.

პირველობის ფინალი 12 თებერვლამდე გაგრძელდება. (საქდესი).

ესტონეთისა და საქართველოს ფრენბურთელთა შეჯიბრება

ტალინი, 18 დეკემბერი. (საკდესი). აქ ორ დღეს მიმდინარეობდა ესტონეთისა და საქართველოს ფრენბურთელთა ამხანაგური შეხვედრები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის მომზადების ერთ-ერთი ეტაპია. პირველ დღეს ყველა თამაში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა.

17 დეკემბერს საქართველოს ქალთა ნაკრებ გუნდს ეთამაშნენ საზოგადოება „კალევის“ სპორტსმენები. სტუმრებმა მოიგეს ანგარიშით 3:2. უკანასკნელნი შეხვდნენ ერთმანეთს ტალინის ვაჟთა გუნდი და საქართველოს სსრ ნაკრები გუნდი. ესტონელმა ფრენბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

დღეს ქართველი ფრენბურთელები მიემგზავრებიან ქალაქ ტარტუში.

თბილისელ კალათბურთელთა გამარჯვება

გუშინ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა „ა“ კლასის კალათბურთელთა კოლექტივების მორიგი მატჩი სსრ კავშირის ზამთრის პირველობაზე. თამაშობდნენ კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 72 : 63.

საახალწლო მისალოცი დეპეშები, ამანათები

დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფსა და ქალაქის კავშირგაბმულობის განყოფილებებში. სამუშაო დარბაზებში განუწყვეტლივ ისმის მანქანების რიტმული კაკუნი. გადასცემენ და იღებენ საახალწლო მისალოცე დეპეშებს მოსკოვში, ლენინგრადში, ურალში, ანტარქტიდაში, კიევში, შორეულ აღმოსავლეთში, კუბინკაში, ბაქოში და სხვ. მარტო თბილისში ამ დღეებში ყოველდღიურად იღებენ 20-22 ათას მისალოც დეპეშას და თითქმის ამდენივე იგზავნება დედაქალაქიდან.

დიდი რაოდენობით იგზავნება და მოდის ამანათები საახალწლო საჩუქრებით. მარტო თბილისში დღეში მოდის 2.000-მდე საახალწლო ამანათი.

„კომუნისტის“ მუშა-სოფლკორთა კაბინეტი.

გაზეთ „კომუნისტის“ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კაბინეტი 20 დეკემბერს, დღის 4 საათზე დუშეთში, პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში აწყობს მუშა-სოფლკორთა და ძირეული პრესის მუშაკთა რაიონულ თათბირს საკითხზე: „მზადება სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის შესახებ-ერად და მუშა-სოფლკორთა ამოცანები“.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ოპერა თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დღისი (მე-12 აბონ. ორ-3 საქტ.), რუსთაველის სახელობის — ალაგვილები, მარჯანიშვილის სახელობის — ტაბუნი, გრიბოედოვის სახელობის — მგზნებარე მეოცნებე, რკინიგზის სახლი — სიმღერა თბილისზე (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი), სომხური დრამის — ნამუსი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — შაგი ბიჭი (აბონ. № 38, 7 ს.), თოჯინების ქართული — ყურშა (11 ს.), ტყის მეგობრები (2 ს.), რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი — ჩეხური ტრიოს კონცერტი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება საქალაქო საბჭოს დეპუტატის დოკუმენტ.

ელეონორა იაკობის ასულ ნებიერიძე-გოგნიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 21/XII, 2 ს. პასტერის,ქ. № 7 ბ.

მესამე საბჭოთა ხელოვნურმა თანამგზავრმა სამი ათასჯერ შემოუარა დედამიწას

მესამე საბჭოთა ხელოვნურმა თანამგზავრმა მესამიათასე შემოვლა დედამიწის გარშემო დაამთავრა 18 დეკემბერს 23 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით. ორბიტაზე თანამგზავრის გასვლის მომენტიდან 218 დღე-ღამე გავიდა. ამ ხანში მან 138 მილიონ კილომეტრზე მეტი მანძილი გაიარა. მის მიერ განვლილი გზა შეადგენს 359 მანძილს მთვარემდე და ორნახევარ მანძილზე მეტს მარსამდე მისი დიდი პირისპირ დგომის დროს (ეს იგი მაშინ, როცა იგი ყველაზე უფრო ახლოა დედამიწასთან). დედამიწის თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდი მის თავდაპირველ მნიშვნელობასთან შედარებით შემცირდა 3,71 წუთით და უდრის 102,24 წუთს, ხოლო ორბიტის მაქსიმალური სიმაღლე (აპოგეა) შემცირდა 1.880 კილომეტრიდან 1.530 კილომეტრამდე. მესამე თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდის საშუალო სადღეღამისო შეცვლა ამჟამად დაახლოებით ერთნახევარ წამს შეადგენს.

მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობას წარმატებით აკვირდებიან ოპტიკური და რადიოტექნიკური საშუალებათა დახმარებით. დღეისათვის საკოორდინაციო-გამთვლელთს ცენტრს მიღებული და დამუშავებული აქვს 69 ათასი რადიოგანზომილება და 7.500-ზე მეტი ოპტიკური დაკვირვება, რომლებიც გამოგზავნეს როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის ასტრონომიულმა დასაკვირმა სადგურებმა და ობსერვატორიებმა.

ამ მონაცემებით განსაზღვრავენ თანამგზავრის ორბიტის პარამეტრებს, აზუსტებენ დროთა განმავლობაში მათი ცვლილების ხასიათს, ადგენენ თანამგზავრის მოძრაობის პროგნოზს და იძლევიან მიზანდანიშნულებებს (ეფემერიდებს) სამამულო და უცხოეთის დასაკვირი სადგურების დაკვირვების ყველა საშუალებისათვის.

20,005 მეგაჰერცის სიხშირეზე მომუშავე გადამცემი „შუქურას“ რადიოსიგნალებს კვლავ იღებს მთელი მსოფლიოს ასობით რადიოსადგური და რადიომოყვარული. გადამცემ „შუქურას“ კვება, როგორც მისი სიგნალების გაშიფვრა გვიჩვენებს, ძირითადად ხდება მზის ბატარიებით, რომლებიც უკვე შვიდ თვეზე მეტია მუშაობენ.

მზის ბატარიების საიმედო მუშაობა კოსმოსური ფრენის პირობებში იმის ექსპერიმენტული დადასტურებაა, რომ საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა წარმატებით გადაჭრეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის აპარატურის ელექტროკვების პრობლემა. საბჭოთა მეცნიერების ეს წარმატება, რომელიც პირველი ნაბიჯია საპლანეტათშორისო ხომალდის, ელექტროკვების პრობლემის გადაჭრის გზაზე, კიდევ ერთ სახელოვან ფურცელს სწერს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიაში.

21 დეკემბერს თანამგზავრის დანახვა შეიძლება შეუიარაღებელი თვალით დილით მზის ამოსვლის წინ ჩრდილოეთ განედისა 12-დან 61 გრადუსამდე და სამხრეთ განედის 25-დან 60 გრადუსამდე. (საკდესი).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჩხელისა და პრესის მიმობილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ხაილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.